A
8074

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ელისო ავთანდილის ასული კალანდარიშვილი

# სულხან – საბა ორბელიანის "სწავლანი"

სპეციალობა 10.01.03 ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი – 1992

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რ. სირაძე

ოფიციალური ოპონენტები – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ზ. კიკნაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
კ. ჯამბურია

წამყვანი ორგანიზაცია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ინსტიტუტი

დისერტაციის დაცვა შედგება "5" VI "1992 წ. 12 სთ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელ სპეციალიზებული საბჭოს დ.057.03.14. სხდომაზე.

380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაგზავნილია "4" V "1992 წელი

სპეციალიზებული საბჭოს სწავლული
მდივანი, პროფესორი ნ. ტაბიძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

<u>თემის აქტუალობა.</u> სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მრავალფეროვნებით. თუმცა უპირატესად მისი შემოქმედების ერთი ასპექტია ცნობილი. ესაა მისი საერო ხასიათის თხზულებები. შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი მეორე, არც თუ მცირემნიშვნელოვანი სფერო საბას შემოქმედებისა – საეკლესიო-სასულიერო ხასიათის მწერლობა. საბას მოღვაწეობა აქაც დარგობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მისი შრომებიდან ზოგი ბიბლიოლოგიური ხასიათისაა, ზოგი ჰომილეტიკური, ზოგი კანონიკური, ზოგიც დოგმატიკური. მათ შორის ისტორიული და ლიტერატურული ღირებულებით ყველაზე მნიშვნელოვანია ჰომილეტიკური კრებული "სწავლანი", რომელიც აერთიანებს 1698–1710 წლებში საბას მიერ გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ბერ-მონაზონთა წინაშე წარმოთქმულ 46 ქადაგებას.

"სწავლანი" დიდად მნიშვნელოვანი თხზულებაა არა მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების, არამედ მთელი ქართული მწერლობის ფარგლებში. იგი გვაძლევს დიდძალ მასალას საბას მსოფლმხედველობის, მრწამსისა და მხატვრული ოსტატობის უკეთ წარმოსაჩენად, მისი, როგორც ფართო ერუდიციის მქონე, მრავალმხრივ განვითარებული და ზნეობრივად დახვეწილი მოღვაწის სრულყოფილი პორტრეტის აღსადგენად.

განსაკუთრებით აქტუალურია სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში ზოგადქრისტიანული მოტივების ძიება, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება მისი ორგანული სიახლოვე ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ტრადიციებთან, იმ სააზროვნო სისტემასთან, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების კულტურის წიაღში.